ხელშეკრულება N208

ქ.ყვარელი

25.12.2018 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში „შემსყიდველი" წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი" შპს ,,აუთსერვის ჯი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე შუკაკიძის სახით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 1700 ცალი ბარათის (საახალწლო ბარათი CPV22300000) მიწოდება.

2.საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1 მიმწოდებელი შემსყიდველს საქონელს მიაწოდებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში.
2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1385 (ათას სამას ოთხმოცდახუთი) ლარს.
2.3 1 (ერთი) ცალი ბარათის ღირებულება შეადგენს 0,81 (ნოლი ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი) ლარს.

3.ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მომსახურების შესაბამისი ნაღდი ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას
4.1.1. მუნიციპალიტეტის მერიას გაუწიოს ზემოთაღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
4.2.შემსყიდველი კისოულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
4.3.გაწეულ მომსახურებაზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლის უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

5. დავათაგანხილვის წესი

5.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

6.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,06%-ს ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
6.4. პირგასამტეხლის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებებისშედეგად ეარსებდა ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელშეკრულებო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.
7.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. ფორს-მაჟორი

8.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

8.2.ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3.ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: კუდიგორის ქ. N1 ს/კ 241578574	მიმწოდებელი შპს „აუთსერვის.ჯი" ს/კ 441555853 საბანკო რეკვიზიტები: TBCBGE22 სს "თიბისი ბანკი" ა.ნ. GE43TB 7973 8360 8010 0003

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

რ.სესიაშვილი

შპს „აუთსერვის.ჯი"-ს დირექტორი

ი. შუკაკიძე

დანართი N1 ხარჯთაღრიცხვა

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	საერთო ღირებულება
ბარათი	1700	0,81	1385
			ჯამი: 1385 ლარი

მიმწოდებელი:

მიღება-ჩაბარების აქტი N208

ქ. ყვარელი

25.12.2018 წელი

ერთის მხრივ შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის სახით და მეორეს მხრივ მიმწოდებელი შპს „აუთსერვის.ჯი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე შუკაკიძის სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ჩაბარებულია დაკვეთილი საქონლის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N208 ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 1700 ცალი ბარათის (სახალწლო ბარათი CPV22300000) მიწოდება.

ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 1385 (ათას სამას ოთხმოცდახუთი) ლარს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

/რ.სესიაშვილი/

შპს „აუთსერვის.ჯი"-ს დირექტორი

/ი. შუკაკიძე/